ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულო

საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 2

26 თებერვალი

2026 წელი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულო

საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N2

26 თებერვალი, 2026 წელი

მიმდინარე წლის 26 თებერვალს სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, გოჩა არველაძის, თავმჯდომარეობით ჩატარდა საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: გოჩა არველაძე, მერაბ უღრელიძე, ირაკლი მელაშვილი, კირილე ბერაძე, ანა გეგეშიძე, გივი ჯულაყიძე, ნუგზარ ნუცუბიძე, ნათია პაპავა, მიხეილ კვანტალიანი, ხვიჩა დარსაველიძე.

მოწვეული სტუმრები :

1. მუნიციპალიტეტის მერიის (საჯარო დაწესებულების) პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი დავით ბაღდავაძე.
2. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების საკითხებში ნათელა ხაბეიშვილი.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კენჭისყრის შედეგად კომისიის წევრებმა (10) ხმით კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კენჭისყრის შედეგად კომისიის წევრებმა (10) ხმით დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

სხდომის თავმჯდომარემ მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, და წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

სხდომის დღის წესრიგი განისაზღვრა და დამტკიცდა შემდეგი სახით:

დღის წესრიგი

1. ინფორმაცია, 2026 წლის ბიუჯეტში ცვლილებასთან დაკავშირებით.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: გ.არველაძე/

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კენჭისყრის შედეგად კომისიის წევრებმა (10) ხმით კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კენჭისყრის შედეგად კომისიის წევრებმა (10) ხმით დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, გოჩა არველაძემ, კომისიის წევრებს გააცნო ინფორმაცია, 2026 წლის ბიუჯეტში ცვლილებასთან დაკავშირებით.

მომხსენებელმა გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის N62-622605627 25/02/2026 წერილობითი მომართვა. რომელიც ეხება სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ცვლილების (კოდი 02 02 01 ბინათმშენებლობის სხვა ხარჯების გეგმის 125000 ლარით გაზრდის) შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 29 იანვრის № 222 განკარგულებით სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, სამტრედიის მუნიციპალიტეტს გამოეყო არაუმეტეს 125 000 ლარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე“–პუნქტის ,,ე.ე“–ქვეპუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69–ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 ნაწილების ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 დეკემბრის №43 დადგენილების შესაბამისად სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის N№62.62260355 04/02/2026 ბრძანებით დაზუსტდა „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის N15 დადგენილება, კერძოდ გაიზარდა კოდი 02 02 01 ბინათმშენებლობა სხვა ხარჯების გეგმა 125 000 ლარით.

კომისიის წევრებმა ზემოაღნიშნული მიიღეს ცნობად.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრებმა ინფორმაცია, 2026 წლის ბიუჯეტში ცვლილებასთან დაკავშირებით მიიღეს ცნობად.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე: */გოჩა არველაძე/*

სხდომის მდივანი: */ლია ყურულაშვილი/*